ჩაწერის ნომერი: 1987794
ჩაწერის დრო: 11 ივლ 2022 09:54
განცხადების მიღების დრო: 11 ივლ 2022 09:54
ინდივიდუალური კოდი: **661935402**

აღსრულების ეროვნულ ბიუროს
თბილისის სააღსრულებო ბიურო

კრედიტორი: ილია კეჭაყმაძე (33001003424)
მისამართი: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩა, N 2 (ყოფილი 26 მაისის ქ. 30)
წარმომადგენელი: ლელა ქველაძე (35001029644)
მისამართი: საქართველო, ქალაქი რუსთავი, პავლე თოდრიას ქუჩა, N 5, ბინა 11

საკონტაქტო ინფორმაცია: 577000727

განცხადება

იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ.

იძულებითი აღსრულების მიზნით, წარმოგიდგენთ სააღსრულებო ფურცელს. გამომცემი ორგანო: ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ; სააღსრულებო ფურცლის ნომერი: 2/ბ-266; სააღსრულებო ფურცლის გამოცემის თარიღი: 07.07.2022.

გთხოვთ, სააღსრულებო ფურცელი მიიღოთ წარმოებაში და აღასრულოთ მოთხოვნა: აღსრულდეს სააღსრულებო ფურცლის სარეზოლუცი ნაწილი სრულად.

კრედიტორი: ილია კეჭაყმაძე(33001003424)
მისამართი: საქართველო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ოზურგეთი, იოსებ კეჭაყმაძის ქუჩა, N 2 (ყოფილი 26 მაისის ქ. 30)
საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი (BAGAGE22), GE62BG0000000174211500
ტელეფონი:
ელ-ფოსტა:
მოთხოვნა:

250 GEL

მოვალე: შპს გურიის პრესკლუბი (ბრენდული სახელი გურიის მოამბე) (437059415)
მისამართი: საქართველო, ქ. ოზურგეთი, ერისთავის ქ., N11/ ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. #3
ტელეფონი:
ელ-ფოსტა:

სხვა დამატებითი ინფორმაცია მოვალის საბანკო ანგარიშებისა და ქონებრივი მონაცემების შესახებ:

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები:

- სააღსრულებო ფურცელი
- გადაწყვეტილება
- მინდობილობა
- საბანკო რეკვიზიტი

შენიშვნა:

გადახდილი საფასურის ოდენობა: 250 ლარი.

კრედიტორი:----------/ილია კეჭაყმაძე / წარმომადგენელი:----------/ლელა ქველაძე/

განცხადების წარდგენის თარიღი: 11 ივლ 2022 09:54

საქმე №050210118002139689
საქმე №2/ბ-266

0001134165990789

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

07 ივლისი, 2022 წელი

ქ. ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე- თამარ სვანიძე

აპელანტი: ილია კეჭაყმაძე

წარმომადგენელი: ლელა ქველაძე

მოწინააღმდეგე მხარე: შპს "გურიის პრესკლუბი"; ვლადიმერ მენაბდე; ნინო ვაშალომიძე

წარმომადგენელი: კახა ჩავლეშვილი

დავის საგანი – პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა; მორალური ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა: - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ილია კეჭაყმაძის სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

1. 29 ივნისი 2018 წელი; 2. 7 სექტემბერი,2018 წელი
გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო, გამოტანის თარიღი

სარეზოლუციო ნაწილი

4. დადგენილად იქნეს მიჩნეული, რომ გაზეთ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16

ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით: "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია- არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება.

5. დაევალოს გაზეთ გურიის მოამბეს გაზეთში და თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე შემდეგი ფორმით: "გაზეთ გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის №40 (741) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება.

6. ცნობა გამოქვეყნებული იქნას გამოყოფილი შრიფტით, გაზეთის მეორე გვერდზე;

8. გაზეთ "გურიის მოამბეს" ილია კეჭაყმაძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილის გადახდა 250 ლარის ოდენობით.

კრედიტორი: ილია კეჭაყმაძე პ/ნ 33001003424, მის: ოზურგეთი, ი.კეჭაყმაძის ქ.2 (ყოფილი 26 მაისის ქ.30)

მოვალე: შპს "გურიის პრესკლუბი" (ბრენდული სახელი გურიის მოამბე) ს/ნ 437059415, მისამართი: ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ, N3

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი: 07 ივლისი, 2022 წელი.

მოსამართლე **თამარ სვანიძე**

საქმე № 050210118002139689

00011217770668 82

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

საქმე № 2\ბ- 266

29 ივნისი 2018 წელი

ქ.ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე: თამარ სვანიძე

მოსამართლეები: სიმონ ჩხაიძე

ნანა კალანდაძე

სხდომის მდივანი – თეონა ქიმერიძე

აპელანტი: ილია კეჭაყმაძე

წარმომადგენელი: ლელა ქველაძე

მოწინააღმდეგე მხარე: შპს "გურიის პრესკლუბი"; ვლადიმერ მენაბდე; ნინო ვაშალომიძე

წარმომადგენელი: კახა ჩავლეშვილი

დავის საგანი – პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა; მორალური ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება

აპელანტის მოთხოვნა: - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ილია კეჭაყმაძის სარჩელის დაკმაყოფილება.

აღწერილობითი ნაწილი:

87

1. ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ილია კეჭაყმაძემ. მოპასუხე მხარეებად შპს "გურიის პრესკლუბი", მისი დირექტორი ვლადიმერ მენაბდე და ამავე შპს-ს 30%წილის მფლობელი ნინო ვაშალომიძე მიუთითა და ითხოვა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება;

2. მოსარჩელის განმარტებით: 2017 წლის 16 ოქტომბერს გურიის მოამბის მიერ, მათ ოფიციალურ ვებ გვერდსა www.guriismoambe.com და 16.10.2017წ გაზეთში გამოქვეყნებულ იქნა სტატია, სადაც მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები გაავრცელა, ეს ცნობები აგებულია მხოლოდ მოპასუხის მოსაზრებებზე, ყოველგვარი მტკიცებულებებისა და ფაქტების გარეშე. მოპასუხეთა მიერ გაკეთებული განცხადება ცილისმწამებლურია, სტატია იწყება შემდეგი სიტყვებით: ,,რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა -,,დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- სტატიაში დაფიქსირებული გამონათქვამი თავისი არსით წარმომადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. სტატიაში მითითებულია შემდეგი: „ტარიელაძის ოჯახის წევრები ოფიციალურად, საჯაროდ აცხადებენ, რომ ახალგაზრდის მკვლელობა შეკვეთილი იყო, ე.წ. "მაყურებლების" თემა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, საზოგადოებისათვის ერთ დიდ თავსატეხად იქცა და მან მოიცვა არა მარტო სკოლები, არამედ ის უკვე ნებისმიერ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, იქნება ეს პარკები, სკვერები, ესა თუ ის დაწესებულებები - ფუნქციონირებს; მაყურებლები ინიშნებიან სკაიპით, მეზობელ თურქეთსა და საბერძნეთში "გადახვეწილი" კრიმინალური ავტორიტეტების მიერ, ხშირია შემთხვევები როცა იგივე შედარებით შორეული გერმანიიდან ან კიდევ საფრანგეთიდან ხდება. ე.წ. "მაყურებლების" ინსტიტუტს კი, ყოველი არჩევნებისას, ეფექტურად იყენებს მმართველი პარტია. ოზურგეთში სულ უფრო ძლიერდება ხმები რომ ამ შეკვეთილი მკვლელობების და საერთოდ გურიაში არსებული მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის მიზეზი, რომელიც გეომეტრიული პროგრესით იზრდება, პოლიციის პოლიტიზირებული ხელმძღვანელობის ბრალია. უფრო კონკრეტულად კი ოზურგეთში მიიჩნევენ, რომ გამოუძიებელი მკვლელობების უკან კახი კალაძის გარემოცვა, კერძოდ კი ილია კეჭაყმაძე დგას, რომლის კადრია გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ბურადაშვილი."

3. მოსარჩელე მიუთითებს, რომ - აღნიშნული ბრალდებები მოსარჩელის დისკრედიტაციას წარმოადგენს.

4. გურიის მოამბე ასევე ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რომ: ,,სწორედ არჩევნების მიზნით იყენებს პოლიცია, ძირითადად, ეჭვმიტანილთა და მათ ოჯახთა უმეტეს ნაწილს, არჩევნების დღეს შედის კრიმინალებთან უშუალოდ თანამშრომლობაში, შემდეგ კი მოსახლეობა იხდის პოლიციისა და კრიმინალების დანაშაულებრივი კავშირის შედეგებს. ამას კი გურიაში ილია კეჭაყმაძისა და პოლიციის უფროსის, მურადაშვილის ახლო კავშირებით ხსნიან, მურადაშვილმა თავი გურიას, მისი რამდენიმეწლიანი მმართველობის პერიოდში იმით დაამახსოვრა, რომ ოზურგეთში ე.წ. "მარნეულის შაურმა" ანუ "მწვადის შაურმა" გახსნა". სტატიაში ვკითხულობთ, რომ ,,გადამოწმებული ინფორმაციით, ოპოზიციის ლიდერს მჟავანაძეს კრიმინალები პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია. ინფორმაციის გავრცელება ემსახურება ილია კეჭაყმაძის დისკრედიტაციას და მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვას, გაკეთებული განცხადებები არის ცილისმწამებლური და მცდარი, რომელიც ეფუძნება მხოლოდ მოპასუხეთა წარმოსახვასა და მოსაზრებებს, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე. და იგი ილია კეჭაყმაძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველია. ილია კეჭაყმაძე სარგებლობს საკმაოდ მაღალი რეპუტაციით, ხოლო დღეს გურიის მოამბის მიერ გაკეთებული ცილისმწამებლური, მცდარი ინფორმაციის გავრცელებით, შეილახა მისი, როგორც პატივი და ღირსება, ასევე საქმიანი რეპუტაცია.

5. სტატიაში და გაზეთში მითითებულია იმის თაობაზე, რომ "მარნეულის შაურმასთან" ასოცირდება ერთი სკანდალიც, როცა ოზურგეთში მომხდარი ერთ ერთი ახმაურებული მკვლელობიდან რამდენიმე წუთში, ოზურგეთში პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერმა, ოზურგეთის მუნიციპალური საკრებულოს დეპუტატმა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან", დავით მჟავანაძემ, აღნიშნული საშაურმეს წინ გამართულ ბრიფინგზე ცალცრად გააკრიტიკა გურიის პოლიციის უფროსი, განაცხადა: "იმის ნაცვლად რომ გურიის პოლიციის უფროსი კრიმინალს ებრძოდეს ეს უკანასკნელი საშაურმეებს ხსნის" - ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში ოპოზიციის ლიდერს სახლში კრიმინალური ავტორიტეტები მიუვარდნენ და ემუქრებოდნენ. გადამოწმებული ინფორმაციით, ეს

კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა, მურადაშვილმა ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია". - სტატიას თუ დავუკვირდებით, ილა კეჭაყმაძე არის შემკვეთი და კრიმინალების მფარველი, ხოლო მურადაშვილი ასევე კრიმინალი და კრიმინალებთან შეკრული პოლიციელი. შემკვეთი და შემსრულებელი ერთად ისჯება დანაშაულის ჩადენისათვის და შესაბამისად რადგან მოსარჩელე მხარეს ასეთი რამ არ ჩაუდენია, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს სასამართლოში, იმ კრიმინალების სახელები, გვარები რომლებიც ახორციელებდნენ მუქარას, ასევე უნდა დაადასტუროს, რომ ეს კრიმინალები ილია კეჭაყმაძის დავალებით მოქმედებდნენ.

6. სტატიაში მითითებული გამონათქვამები: ,,რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა -,,დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას. სისხლის სამართლის კოდექსის 22-25 მუხლებით დასჯადია როგორც თანამონაწილეობა, ისე დანაშაულის ორგანიზება და ამსრულებლობა. ასევე, ამავე კოდექსის 108-109-ე მუხლებით სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა მკვლელობა, მათ შორის შეკვეთილი მკვლელობა.

7. სტატიაში და გაზეთში გაკეთებული მითითება იმის თაობაზე, რომ ,,ე.წ. "მაყურებლების" ინსტიტუტს ყოველი არჩევნებისას, ეფექტურად იყენებს მმართველი არტია. გამოუძიებელი მკვლელობების უკან კახი კალაძის გარემოცვა, კერძოდ კი ილია კეჭაყმაძე დგას, რომლის კადრია გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მურადაშვილი". არის მითითება ფაქტზე და ბრალდება, რომელსაც მოპასუხე უყენებს მოსარჩელეს, კერძოდ, ის მიუთითებს, რომ ილა კეჭაყმაძის დავალებით არ ხდება საქმეების გამოძიება. მოპასუხე მხარემ უნდა გასცეს პასუხი შეკითხვას თუ რომელი სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაზეა საუბარი, რა შემხებლობაშია ილია კეჭაყმაძესთან გამოძიება, რა თანამდებობა უჭირავს შს სამინისტროში ან მის დანაყოფში, ილია კეჭეყმაძეს, რომ შეძლოს მსგავსი დავალებების განხორციელება და ა.შ.

8. სტატიაში და გაზეთში ასევე მითითებულია იმის თაობაზე, რომ: ,,ილია კეჭაყმაძე (პირველად ოფიციალურად პოლიტიკურ სკანდალში მაშინ გაეხვა, როცა მას, თბილისში გამართულ ბრიფინგზე ოპოზიციის ლიდერებმა კანონიერი ქურდების საქართველოში უკანონოდ შემოყვანაში, გადაადგილებასა და მფარველობაში დასდეს ბრალი და შესაბამისი

ფაქტებიც წარმოადგინეს), სწორედ კეჭაყმაძე მურადაშვილის დუეტთან ასოცირდება ყველა "ბოროტება" რაც კი გურიაში ხდება ამ წუთისათვის და რაოდენ სამწუხარო და სავალალო არ უნდა იყოს, რამდენიმე და არა ყველა, შეკვეთილი მკვლელობის უკანაც, გურიაში, ამ დუეტს ხედავენ. მურადაშვილს სავარაუდოდ იმიტომ, რომ, გავრცელებული ინფორმაციით ის უკვე დათხოვილია აღნიშნული თანამდებობიდან ოღონდ არჩევნების პირველ ტურს ელოდებიან რომ ოფიციალურად გადააყენონ; კეჭაყმაძეს იმიტომ, რომ ყველა კრიმინალურ გარჩევაში ის მონაწილეობს."

9. მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეებმა დაადასტურონ რომელ კრიმინალურ გარჩევაში მონაწილეობდა ილა კეჭაყმაძე და რომელ შეკვეთილ მკვლელობებზეა საუბარი.

10. სტატიაში და გაზეთში ასევე მითითებულია: ,,ოზურგეთში დღემდე დიდი მითქმა მოთქმაა იმ ფაქტზე, რომ ოზურგეთის კანალიზაციის მილების გარკვეული ნაწილის ჯართში ჩაბარების მიზნით დემონტაჟის დროს, ქალაქ ოზურგეთის მერმა, კეჭაყმაძის მძახალმა. ბეგლარ სიორიძემ და მაშინდელმა პოლიციის სამმართველოს უფროსმა, მილები ვერ გაიყვეს და კეჭაყმაძემ "საქმის გასარჩევად" რუსეთიდან კრიმუნალური ავტორიტეტი ჩამოიყვანა. რომელმაც ამ ორი უწყების ხელმძღვანელს მოპოვებულ ჯართზე საკუთრები უფლების ესა თუ ის ფორმა განუსაზღვრა; როგორც უშუალო თვითმხილველები გვიმტკიცებენ, ილა კეჭაყმაძე და გურიის პოლიციის უფროსი, ამ უკანასკნელის კაბინეტში, ხშირად იბარებენ და ზეწოლას ერთობლივად ახორციელებენ ოპოზიციის მხარდამჭერებზე." მოსარჩელე მიუთითებს, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და რომ აღნიშნული - ცილისწამებაა.

11. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით მოსარჩელემ მოითხოვა 1) სასამართლომ დაადგინოს: 2017 წლის 16 ოქტომბერს შპს ,,გურიის პრესლკუბის" (ბრენდული სახელი - გურიის მოამბე) მიერ, ვებ. გვერდსა www.guriismoambe.com და 16.10.2017 წ. N40 (741) გაზეთში ,,გურიის მოამბე" გამოქვეყნებული ცნობები არ შეესაბამება სიმართლეს, დაეკისროთ მოპასუხეებს, მათ შორის შპს ,,გურიის პრესლკუბს" (ბრენდული სახელი- გურიის მოამბე) ილია კეჭაყმაძის მიმართ არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელი, მოსარჩელის სახელის გამტეხი, პატივის და ღირსების შემლახველი განცხადებების უარყოფა. კერძოდ ეს განცხადებებია: ,,ე.წ. "მაყურებლების" ინსტიტუტს კი, ყოველი არჩევნებისას, ეფექტურად იყენებს მმართველი

პარტია. ოზურგეთში სულ უფრო ძლიერდება ხმები რომ ამ შეკვეთილი მკვლელობების და საერთოდ გურიაში არსებული მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის მიზეზი, რომელიც გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, პოლიციის პოლიტიზირებული ხელმძღვანელობის ბრალია. უფრო კონკრეტულად კი ოზურგეთში მიიჩნევენ, რომ გამოუძიებელი მკვლელობების უკან კახი კალაძის გარემოცვა, კერძოდ კი ილა კეჭაყმაძე დგას, რომლის კადრია გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მურადაშვილი". ,,სწორედ არჩევნების მიზნით იყენებს პოლიცია, ძირითადად, ეჭვმიტანილთა და მათ ოჯახთა უმეტეს ნაწილს, არჩევნების დღეს შედის კრიმინალებთან უშუალოდ თანამშრობლობაში, შემდეგ კი მოსახლეობა იხდის პოლიციისა და კრიმინალების დანაშაულებრივი კავშირის შედეგებს. ამას კი გურიაში ილა კეჭაყმაძისა და პოლიციის უფროსის, მურადაშვილის ახლო კავშირებით ხსნიან, მურადაშვილმა თავი გურიას, მისი რამდენიმეწლიანი მმართველობის პერიოდში კიდევ იმით დაამახსოვრა, რომ ოზურგეთში ე.წ. "მარნეულის შაურმა" ანუ "მწვადის შაურმა" გახსნა.",,სხვათაშორის ამ "მარნეულის შაურმასთან" ასოცირდება ერთი სკანდალიც, როცა ოზურგეთში მომხდარი ერთ ერთი გახმაურებული მკვლელობიდან რამდენიმე წუთში, ოზურგეთში პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერმა, ოზურგეთის მუნიციპალური საკრებულოს დეპუტატმა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან", დავით მჟავანაძემ, აღნიშნული საშაურმეს წინ გამართულ ბრიფინგზე მკაცრად გააკრიტიკა გურიის პოლიციის უფროსი, განაცხადა რომ:"იმის ნაცვლად ვრომ გურიის პოოლიციის უფროსი კრიმინალს ებრძოდეს ეს უკანასკნელი საშაურმეებს ხსნის" - ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში ოპოზიციის ლიდერს სახლში კრიმინალური ავტორიტეტები მიუვარდნენ და ემუქრებოდნენ. გადამოწმებული ინფორმაციით, ეს კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა, მურადაშვილმა ილა კეჭაყმაძის დავალებით მიუსია". ,,თავად ილია კეჭაყმაძე (რომელიც პირველად ოფიციალურად პოლიტიკურ სკანდალში მაშინ გაეხვა, როცა მას, თბილისში გამართულ ბრიფინგზე ოპოზიციის ლიდერებმა კანონიერი ქურდების საქართველოში უკანონოდ შემოყვანაში, გადაადგილებასა და მფარველობაში დასდეს ბრალი და შესაბამისი ფაქტებიც წარმოადგინეს) მურადაშვილის დანიშვნაში ფიგურირებს და მის "კრიშად" ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ კალაძემ ის გარკვეული ფინანსური მაქინაციებისათვის საკუთარი არაოფიციალური გუნდიდან დაითხოვა, მოიშორა,

ოზურგეთში პოლიტიკურ პროცესებზე როგორც "კალაძის" "მარჯვენა ხელს" და ოზურგეთის მერის მძახალს, უდიდესი გავლენა აქვს. სწორედ კეჭაყმაძე მურადაშ დუეტთან ასოცირდება ყველა "ბოროტება" რაც კი გურიაში ხდება ამ წუთისათვ რაოდენ სამწუხარო და სავალალო არ უნდა იყოს, რამდენიმე და არა ყველა, შეკვეთ მკვლელობის უკანაც, გურიაში, ამ დუეტს ხედავენ. მურადაშვილს სავარაუდოდ იმ რომ, გავრცელებული ინფორმაციით ის უკვე დათხოვილია აღნიშნული თანამდებობ ოღონდ არჩევნების პირველ ტურს ელოდებიან რომ ოფიციალურად გადააყენონ. კეჭაყ იმიტომ, რომ ყველა კრიმინალურ გარჩევაში ის მონაწილეობს." ,,ოზურგეთში დღემდე მითქმა მოთქმაა იმ ფაქტზე, რომ ოზურგეთის კანალიზაციის მილების გარკვეული ნაწ ჯართში ჩაბარების მიზნით დემონტაჟის დროს (დღეს ოზურგეთის კანალიზაცია პირდ მდინარე ნატანებში ჩაედინება), ქალაქ ოზურგეთის მერმა, კეჭაყმაძის მძახალმა, ბე სიორიძემ და მაშინდელმა პოლიციის სამმართველოს უფროსმა, მილები ვერ გაიყვ კეჭაყმაძემ "საქმის გასარჩევად" რუსეთიდან კრიმუნალური ავტორიტეტი ჩამოიყ რომელმაც ამ ორი უწყების ხელმძღვანელს მოპოვებულ ჯართზე საკუთრები უფლებ თუ ის ფორმა განუსაზღვრა. სამწუხაროა ასევე, როგორც უშუალო თვითმხილველ გტვიმტკიცებენ, ილა კეჭაყმაძე და გურიის პოლიციის უფროსი, ამ უკანასკნელის კაბინ ხშირად იბარებენ და ზეწოლას ერთობლივად ახორციელებენ ოპოზიციის მხარდამჭერებ

12. მოსარჩელემ ასევე ითხოვა ცილისწამებასთან დაკავშირებით სასამართლოს დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმა გავრცელებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 ლარის ოდენობით.

მოპასუხის პოზიცია:

13. მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სტატია სათაურით "რატომ იმატა გურიაში შკვეთ მკვლელობებმა - გურიის პოლიციის უფროსი მოხსნეს" ასევე ქვესათაური - "დგას თუ შეკვეთილი მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - არ შეიცავს მოსარჩელისათვის პატივ

და ღირსების შემლახველ ცნობებს, რადგანაც ინფორმაცია გავრცელებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოპასუხის მოსაზრებით, ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ილია კეჭაყმაძე წარმოადგენს ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირს, ამასთან საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ იგი ასევე წარმოადგენს კრიმინალურ ავტორიტეტებთან დაახლოებულ პირს და აქტიურად არის ჩართული ოზურგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შესაბამისად ილია კეჭაყმაძის ნებისმიერი მოქმედებს მიმართ არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი.

14. მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ ოზურგეთში მართლაც მძიმე კრიმინოგენური სიტუაციაა. ბოლო დროის განმავლობაში დაგროვდა რამდენიმე გაუხსნელი მკვლელობა, რომელთაგან რამდენიმე აშკარად ატარებს შეკვეთილი მკვლელობის ნიშნებს, ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში არაერთი პუბლიკაცია არსებობს. ასევე არაერთი პუბლიკაცია არსებობს იმის შესახებ, რომ კახი კალაძის გარემოცვა და მათ შორის ილია კეჭაყმაძე კრიმინალურ ავტორიტეტებთან დაკავშირებული პირები არიან, შესაბამისად სტატიაში საუბარია იმაზე, რომ "ოზურგეთში მიიჩნევენ, რომ გამოუძიებელი მკვლელობების უკან კახი კალაძის გარემოცვა, კერძოდ კი ილია კეჭაყმაძეა" - ანუ მოპასუხე სტატიაში საუბრობს იმაზე, თუ რას მიიჩნევენ ოზურგეთში, საუბარია საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც ფორმირებული იყო სტატიის გამოქვეყნებამდე.

15. მოპასუხის განმარტებით, არაერთი პუბლიკაცია და განცხადება არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ მურადაშვილი დაკავშირებულია ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ისევე, როგორც ილია კეჭაყმაძე, რომელიც ოზურგეთის მერის ბეგლარ სიორიძის ახლო ნათესავია, სწორედ ბეგლარ სიორიძის ლობისტია ილია კეჭაყმაძე და ეს საზოგადოებისთვის ცნობილია. როგორც ამ ისე სხვა შემთხვევაში, სტატიაში საუბარია საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებაზე, ანუ საზოგადოებრივ აზრზე. რაც შეეხება არჩევნებს საქართველოში და კერძოდ ოზურგეთში, იგი გამუდმებით ყალბდება, კერძოდ არის ამომრჩეველზე და მის ნებაზე დაუშვებელი ზეწოლის უამრავი ფაქტი. ვერც ერთ შემთხვევაში მედიასაშუალება ვერ დაელოდება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობისას გამამტყუნებელ განაჩენებს, პრესის მოვალეობაა მიაწოდოს მოსახლეობას მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ის ვინმესთვის. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია

ისიც, რომ ინფორმაციის დაყოვნებით გავრცელებამ შეიძლება მის გავრცელებას საერთოდ აზრი დაუკარგოს.

16. მოპასუხე მხარე მიუთითებს, ასევე, რომ საგაზეთო მასალაში საუბარია ჟურნალისტის წყაროს მიერ მიწოდებულ, სავარაუდო ინფორმაციაზე, რომელიც არ შეიძლება აღქმულ იყოს როგორც ფაქტის მტკიცება. გამოქვეყნებული მასალა არ შეიცავს არსებითად მცდარი და პირის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების ნიშნებს. მოსარჩელე არ და ვერ აკონკრეტებს კონკრეტულად რომელი წინადადება ან ფრაზა არის ცრუ ფაქტების შემცველი და მით უფრო მისი პატივის, ღირსების შემლახველი და ზიანის მომტანი. საგაზეთო სტატიაში გამოქვეყნებული მასალა მათი, მოპასუხეების მხრიდან სრულად ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სადაოდ ქცეული მასალა ეყრდნობა წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. ისინი პასუხს არ აგებენ წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობაზე და მათი ქმედება არ შეიცავს რაიმე ფაქტის არსებობის ნამდვილობის მტკიცებას.

17. მოპასუხე მხარე ასევე მიუთითებს, რომ სრულად დაუსაბუთებელია მიყენებული ზიანი და მიყენებული სულიერი ტკივილი, რომელზეც საუბრობს მოსარჩელე მხარე. გაურკვეველია საიდან და რა ფორმით იქნა მიყენებული ზიანი გაანგარიშებული მოსარჩელეთა მიერ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

18. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ილია კეჭაყმაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

19. 2017 წლის 16 ოქტომბერს, შპს გურიის პრესკლუბის (ბრენდული სახელი გურიის ...ამბე) მიერ, მათ ოფიციალურ ვებ გვერდსა და 16.10.2017 წ 40 (741) გაზეთში ,,გურიის

მოამბე'' გამოქვეყნებულ იქნა სტატია - სათაურით ,,რატომ იმატა გურიაში შეკვეთილ მკვლელობებმა - გურიის პოლიციის უფროსი მოხსნეს''. სტატია იწყება შემდეგი სიტყვებით

,,დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე.'' სტატიაში მითითებულია: ,,ე.წ ,,მაყურებლების ინტიტუტს'' კი ყოველი არჩევნებისას ეფექტურად იყენებს მმართველი პარტია. ოზურგეთი სულ უფრო ძლიერდება ხმები, რომ ამ შეკვეთილ მკვლელობების და საერთოდ გურიაში არსებული მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის მიზეზი, რომელიც გეომეტრიული პროგრესით იზრდება პოლიციის პოლიტიზირებულ ხელმძღვანელობის ბრალია. უფრო კონკრეტულად კი ოზურგეთში მიიჩნევენ, რომ გამოუძიებელი მკვლელობების უკან კახი კალაძის გარემოცვა, კერძოდ კი ილია კეჭაყმაძე დგას, რომლის კადრია გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი მურადაშვილი'' ,,სწორედ არჩევნების გზით იყენებს პოლიცია ძირითადად ეჭვმიტანილთა და მათ ოჯახთ უმეტეს ნაწილს არჩევნების დღეს შედის კრიმინალებთან უშუალოდ თანამშრომლობაში შემდეგ კი მოსახლეობა იხდის პოლიციისა და და კრიმინალების დანაშუალებრივი კავშირის შედეგებს. ამას კი გურიაში ილია კეჭაყმაძისა და პოლიციის უფროსის მურადაშვილის ახლო კავშირებით ხსნიან. მურადაშვილმა თავი გურიას მისი რამდენიმე წლიანი მმართველობის პერიოდში კიდევ იმით დაამახსოვრა, რომ ოზურგეთში ე.წ ,,მარნეულის შაურმა'' ანუ ,,მწვადი შაურმა'' გახსნა. ,,სხვათაშორის ამ ,,მარნეულის შაურმასთან'' ასოცირდება ერთი სკანდალიც, როცა ოზურგეთში მომხდარი ერთ-ერთი გახმაურებული მკვლელობიდან რამდენიმე წუთში ოზურგეთში პოლიტიური ოპოზიციის ლიდერმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან'' დავით მჟავანაძემ აღნიშნული საშაურმეს წინ გამართულ ბრიფინგზე მკაცრად გააკრიტიკა გურიის პოლიციის უფროსი განაცხადა რომ: ,,იმის ნაცვლად რომ გურიის პოლიციის უფროსი კრიმინალს ებრძოდეს ეს უკანასკნელი საშაურმეს ხსნის'' - ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში ოპოზიციის ლიდერს სახლში კრიმინალური ავტორიტეტები მიუვარდნენ და ემუქრებოდნენ. გადამოწმებული ინფორმაციით, ეს კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა, მურადაშვილმა ილა კეჭაყმაძის დავალებით მიუსია''. ,,თავად ილია კეჭაყმაძე (რომელიც პირველად ოფიციალურად პოლიტიკურ სკანდალში მაშინ გაეხვა, როცა მას, თბილისში გამართულ ბრიფინგზე ოპოზიციის ლიდერებმა კანონიერი ქურდების

საქართველოში უკანონოდ შემოყვანაში გადაადგილებასა და მფარველობაში დასდეს ბრალ
და შესაბამისი ფაქტებიც წარმოადგინეს) მურადაშვილის დანიშვნაში ფიგურირებს და მ
,,კრიშად'' ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ კალაძემ ის გარკვეული ფინანსურ
მაქინაციებისათვის საკუთარი არაოფიციალური გუნდიდან დაითხოვა, მოიშორ
ოზურგეთში პოლიტიკურ პროცესებზე, როგორც ,,კალაძის'' ,,მარჯვენა ხელს'' და ქალ
ოზურგეთის მერის მძახალს, უდიდესი გავლენა აქვს. სწორედ კეჭაყმაძე მურადაშვილ
დუეტთან ასოცირდება ყველა ,,ბოროტება'' რაც კი გურიაში ხდება ამ წუთისათვის
რაოდენ სამწუხარო და სავალალო არ უნდა იყოს რამდენიმე და არა ყველა შეკვეთილ
მკვლელობის უკანაც, გურიაში ამ დუეტს ხედავენ. მურადაშვილს სავარაუდოდ იმიტომ რ
გავრცელებული ინფორმაციით ის უკვე დათხოვილია აღნიშნული თანამდებობიდან ოღონ
არჩევნების პირველ ტურს ელოდებიან რომ ოფიციალურად გადააყენონ. კეჭაყმაძეს იმიტ
რომ ყველა კრიმინალურ გარჩევაში ის მონაწილეობს''. ,,ოზურგეთში დღემდე დიდი მითქმ
მოთქმაა იმ ფაქტზე რომ ოზურგეთის კანალიზაციის მილების გარკვეული ნაწილის ჯართ
ჩაბარების მიზნით დემონტაჟის დროს (დღეს ოზურგეთის კანალიზაცია პირდაპირ მდინარ
ნატანებში ჩაედინება) ქალაქ ოზურგეთის მერმა კეჭაყმაძის მძახალმა ბეგლარ სიორიძემ
მაშინდელი პოლიციის სამმართველოს უფროსმა მილები ვერ გაიყვეს და კეჭაყმაძემ ,,საქმ
გასარჩევად'' რუსეთიდან კრიმინალური ავტორიტეტი ჩამოიყვანა, რომელმაც ამ ორ
უწყების ხელმძღვანელს მოპოვებულ ჯართზე საკუთრების უფლების ესა თუ ის ფორმ
განუსაზღვრა. სამწუხაროა ასევე, როგორც უშუალო თვითმხილველები გვიმტკიცებენ ილ
კეჭაყმაძე და გურიის პოლიციის უფროსი ამ უკანასკნელის კაბინეტში ხშირად იბარებენ და
ზეწოლას ერთობლივად ახორციელებდნენ ოპოზიციის მხარდამჭერებზე''.

20. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სხვადასხვა
დროს, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნებული იქნა რამდენიმე სტატია.

21. სახელდობრ: სასამართლომ დაადგინა, რომ 2017 წლის 12 მაისს, საინფორმაციო
სააგენტო GHN -მა გაავრცელა სტატია შემდეგი სათაურით - ,,ნაცმოძრაობა'' კრიმინალური
ავტორიტეტის ე.წ. ,,რემენას'' შესახებ რამდენიმე დეტალს ასაჯაროებს. სტატიაში
მითითებულია: რომ ავტომანქანა, S-კლასიის მერსედესი, სახელმწიფო ნომრით ZQZ- 222,
რომლითაც მოხდა რემენას აეროპორტის ტერიტორიიდან გაყვანა, იმყოფება მოქალაქე

მარინა დოლიძე-კეჭაყმაძის მფლობელობაში. ქალბატონი მარინას მეუღლე ილია კეჭაყმაძ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს ვიცე პრემიერის კუთვნილებაში მყოფი ბანკის ,,პროგრეს ბანკი'' სამეთვალყურეო საბჭო თავჯდომარის მოადგილეა, აგრეთვე KAlA CAPITAL LIMITTED სამეთვალყურეო საბჭო წევრი და შპს ,,კალა კაპიტალის'' დირექტორი. ცოლ-ქმარმა წინასაარჩევნოდ ბლოკ ,,ქართულ ოცნებას'' 80 000 ლარი შესწირეს - ილია კეჭაყმაძე 2014 წლის 15 აპრილს 60 000 ლარი დ მარინა დოლიძე-კეჭაყმაძე 2014 წლის 13 მაისი 20 000 ლარი.

22. სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 29 იანვარს გურია ნიუსის ვებ გვერდზ გამოქვეყნებული იქნა სტატია - სათაურით ,,ტაბუდადებული თემები'' ანუ იყო თუ არ ,,რემენა'' ოზურგეთში. სტატიაში მითითებულია, რომ ,,ნაციონალური მოძრაობის' ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, დავით მჟავანაძე, წარმოშობით ოზურგეთელ ბიზნესმენს, კახი კალაძის მეგობარს ილია კეჭაყმაძეს ოზურგეთის ,,ფაქტობრივ მმართველს'' უწოდებს. დავით მჟავანაძე ილია კეჭაყმაძეს კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობაში და კრიმინალების მფარველობაში ადანაშაულებს. ამასთანავე ის კეჭაყმაძის კლანურ მმართველობაზე და ქალაქის მერიაში არსებულ ნეპოტიზმზე საუბრობს. ოზურგეთში ხშირად საუბრობენ იმ თემაზე, რომ აეროპორტიდან გამქრალ ქურდს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში ,,სამეფო პატივით'' მასპინძლობდა ოზურგეთს ფაქტობრივი მმართველი ილია კეჭაყმაძე.

23. 2015 წლის 28 იანვარს, ნიუპოსტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული იქნა სტატია - სათაურით ,,იმალებოდა თუ არა აეროპორტიდან ,,გამქრალი'' ,,რემენა'' ოზურგეთში და ვის ჰყავდა ის სამეფო პატივში''. სტატიაში მითითებულია ,,როდესაც კანონიერი ქურდი ,,რემენა'' აეროპორტიდან გაქრა, შემოქმედში იმალებოდა. ეს ადამიანი სამეფო პატივში იყო და მას ოზურგეთის ფაქტიური მმართველი უწევდა მასპინძლობას''. ილია კეჭაყმაძე არის ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელიც მომაგრებულია ოზურგეთის ფაქტიურ მმართველად და აკონტროლებს თავიდან ბოლომდე სიტუაციას. ნახეთ ქალაქის მერიაში ვინ არიან დასაქმებულები და ვისი ნათესავები არიან. უახლოეს დღეებში ოფიციალურად წარმოვადგენთ ამ ადამიანების სიას'' - განაცხადა მჟავანაძემ.''

24.სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 18 აპრილს, ნიუპოსტის ვებ გვერდზე

გამოქვეყნებული იქნა სტატია - სათაურით ,,ილა კეჭაყმაძე თუ გიგლა კუნჭულია - ვინ გახდება გურიის გუბერნატორი''. სტატიაში მითითებულია ,,გავრცელებული უახლესი ინფორმაციით, გურიის გუბერნატორობის პოსტზე ილა კეჭაყმაძისა და გიგლა კუნჭულიას კანდიდატურები განიხილება. შევარდნაძის დროინდელი სახელმწიფო მოხელის, გიგლა კუნჭულიას მხარდამჭერებიდან, ამ ეტაპზე მხოლოდ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ზვიად კვაჭანტირაძის სახელმა და გვარმა გაიჟღერა, რაც შეეხება ილა კეჭაყმაძეს, ოზურგეთში ყველასთვის ცნობილია, რომ ის ქვეყნის ვიცე პრემიერთან, კახი კალაძესთან დაახლოებული პირია.''

25. 2015 წლის 03 მაისს, გაზეთ ალიონის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული იქნა სტატია - სათაურით ,,ნაციონალური მოძრაობა'' ოზურგეთის ხელისუფლებას ნეპოტიზმში ადანაშაულებს''. სტატიაში მითითებულია, რომ ,,ირმა ნადირაშვილმა და ნაცმოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ დავით მჟავანაძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართეს. მათ ისაუბრეს იმაზე, რომ ოზურგეთს კეჭაყმაძის და ადიკო ივანიშვილის კლანი მართავს''.

26. სასამართლომ მიუთითა 2015 წლის 03 მაისს ნიუპოსტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაზე - სათაურით "ივანიშვილების და კეჭაყმაძე-სიორიძის კლანი - ნეპოტიზმი ოზურგეთში". სტატიაში მითითებულია, რომ "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ირმა ნადირაშვილი ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლებას ნეპოტიზმში ადანაშაულებს და ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს 2 კლანი მართავს. ეს გახლავთ კეჭაყმაძეების კლანი და მეორე არის ივანიშვილების კლანი. ეს ის ილია კეჭაყმაძეა, რომელიც კანონიერ ქურდს "რემენას" საკუთარი მეუღლის მანქანით დახვდა აეროპორტში და თვითმფრინავიდან გააქრო. კეჭაყმაძე კალაძის ფავორიტია. ის თავისი მძახლის, ბეგლარ სიორიძის საშუალებით არის ოზურგეთის რაიონის პრაქტიკული მმართველი.

27. სასამართლომ დადგენილ ფაქტად მიიჩნია, რომ 2017 წლის 22 ნოემბერს ილია კეჭაყმაძის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს კახაბერ მურადაშვილს და ითხოვა პასუხი მასზედ გუჯაბიძის, კვაჭანტირაძის, ფოცხიშვილისა და ტარიელაძის მკვლელობებთან

დაკავშირებით მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება. დადგენილი იყო თუ არა ბრალეული პირის ვინაობა. რაიმე ფორმით ამ ან სხვა რომელიმე მკვლელობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა თუ არა ილია კეჭაყმაძის კავშირი, როგორც თანამონაწილის, დანაშაულის ორგანიზატორის ან ამსრულებლის სახით. რომელიმე საქმეზე დაკითხული იყო თუ არა ილია კეჭაყმაძე მოწმის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სტატუსით.

28. 2017 წლის 29 ნოემბრის შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე პოლიციის პოლკოვნიკის სერგი ბზიშვილის 2871349 წერილით ილია კეჭაყმაძის წარმომადგენელს ეცნობა, რომ შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება გ. გუჯაბიძის, ი.კვაჭანტირაძის, გ. ფოცხიშვილისა და ი. ტარიელაძის მკვლელობებთან დაკავშირებით. ი. კეჭაყმაძე მკვლელობებთან დაკავშირებით არ დაკითხულა, ვინაიდან მისი დაკითხვის აუცილებლობის საკითხი არ დამდგარა.

29. სასამართლომ დაადგინა, რომ ილია კეჭაყმაძე საჯარო პირია, ის სარგებლობს საკმაოდ მაღალი რეპუტაციით. ის არის უმაღლესი განათლებით, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა მენეჯერულ პოზიციებზე (დირექტორი, კომერციული დირექტორი, ბანკის ფილიალის მმართველი და ა.შ.), არის ქველმოქმედი, ეხმარება უნარშეზღუდულ პირებს, როგორც მატერიალურად, ასევე ტანსაცმლით, საკვებით და ა.შ. ასევე მისი აშენებულია ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაღობილევში წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია.

30. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუცია, ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია";

31. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ,,სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი და განმარტა, რომ სადავო სტატიაში მითითებული გამონათქვამები მოპასუხის მოსაზრებებს წარმოადგენს, რომელიც ასახავს მის სუბიექტურ დამოკიდებულებას, სუბიექტურ აზრს და არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, ანუ,

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მოპასუხის სუბიექტური აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. მოცემულ შემთხვევაში საუბარია საზოგადოებრივ აზრზე, რომელიც სხვადასხვასტატიების მეოხებით ფორმირებული იყო სტატიის გამოქვეყნებამდე. სტატიაში საუბარია საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებებზე, საზოგადოებრივ აზრზე. აქედან გამომდინარე, სადავო სტატიაში გამონათქვამები, როგორც შეფასებითი მსჯელობა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად.

32. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, ეს გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებს არ გაუვრცელებიათ მოსარჩელე ილია კეჭაყმაძეზე ცილისმწამებლური განცხადებები, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები.

32. სასამართლომ მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხეების მიერ გამოთქმულმა ,,შეფასებითმა მსჯელობებმა" მას ზიანი მიაყენა. რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა გადმოსცა საჯარო ინტერესის შემცველი ინფორმაცია და მან პასუხი არ უნდა აგოს მესამე პირთა მიერ გაკეთებული განცხადებების გამო.

სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

33.ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნა გასაჩივრებული ილია კეჭაყმაძის მიერ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება ითხოვა.

34. აპელანტის განმარტებით: სასამართლომ დადგენილ სადაო ფაქტობრივ გარემოებებში მიუთითა მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი 2017 წლის 12 მაისის საინფორმაციო სააგენტო CHN სტატიიდან ამონარიდი და აქედანვე მისცა ამ საქმეს პოლიტიკური ელფერი, რადგან სწორედ ამ სტატიასთან დაკავშირებით აპელანტმა ხდომაზევე დააფიქსირა თავისი პოზიცია. სასამართლომ კი გადაწყვეტილებაში არ ასახა ეს ადგილი რაც მოპასუხეებისათვის არის სასარგებლო. აპელანტისთვის გაუგებარია, რატომ

მოიყვანა სტატიიდან ამონარიდი სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში და მეორეც ამ ამონარიდით რა დასტურდება. მაშინ როდესაც ამ სტატიას აქვს გაგრძელება, რომელიც სულაც არ არის მოპასუხისათვის სასარგებლო და მხარის დამჭერი - მაგრამ სტატიის ამ ნაწილმა ასახვა ვერ პოვა გადაწყვეტილებაში.

35. რაც შეეხება ნიუპოსტის სტატიას, ესეც სასამართლოს მხრიდან არის ერთგვარად მისი პოლიტიკური შეხედულების აშკარა დადასტურება, რადგან უსიტყვოდ იზიარებს ოპოზიციური ლიდერების და ოპოზიციის პოლიტიკოსების მოსაზრებებს, კერძოდ სასამართლომ გაიზიარა სტატია სადაც მითითებულია: "როდესაც კანონიერი ქურდი, "რემენა" აეროპორტიდან გაქრა, შემოქმედში იმალებოდა ის ადამიანი და სამეფო პატივში იყო და მას ოზურგეთის ფაქტიური მმართველი უწევდა მასპინძლობას" - აცხადებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ოპოზიციური პარტიიდან დავით მჟავანაძე. გასაგებია რატომ არ დააკმაყოფილა სასამართლომ მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დავით მჟავანაძის მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე, იმიტომ რომ მას წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი უსიტყვოდ გაეზიარებინა დავით მჟავანაძის ნებისმიერი პოლიტიკური განცხადება.

36. აპელანტის მითითებით დავით მჟავანაძემ უნდა წარუდგინოს მედიასაშუალებებს იმ ბრალდებების დამადასტურებელი ფაქტები, რომლის გამოთქმის უფლებასაც საკუთარ თავს აძლევს. კერძოდ ციტატა: „როდესაც კანონიერი ქურდი, „რემენა" აეროპორტიდან გაქრა, შემოქმედში იმალებოდა ის ადამიანი და სამეფო პატივში იყო. ოზურგეთის ფაქტიური მმართველი უწევდა მასპინძლობას" - სადაც ის აღნიშნულ საკითხს პირდაპირ ილია კეჭაყმაძეს უკავშირებს. მჟავანაძემ ეს განცხადება 27 იანვარს „გურიის მოამბის" ვებგვერდის გადაცემა „მთავარ თემაში" გააკეთა.

37. აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მიკერძოებულად და აბსურდული გადაწყვეტილების გასამყარებლად იმსჯელა მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებზე რომელიც თითქოს დაასაბუთებდა მის გადაწყვეტილებას, რეალურად მოხდა პირიქით.

38. აპელანტი აღნიშნავს, რომ ილია კეჭაყმაძე არ წარმოადგენს საჯარო პირს.

39. სასამართლომ თავის გადაყვეტილებაში მოიხმო 2015 წლის 03 მაისის გაზეთ

ალიონის სტატია. ეს სტატია სასამართლომ სრულად გადმოიტანა გადაწყვეტილებაში, თუმცა სტატიით მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება, რომ ილია კეჭაყმაძე ნაც მოძრაობის ინტერესის საგანი მხოლოდ იმიტომაა, რომ ბეგლარ სიორიძის მზახალია.

40. სასამართლომ არასწორად დაასაბუთა და დაადგინა, რომ ილია კეჭაყმაძე არის საჯარო პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, პირი რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. აპელანტი მიუთითებს, რომ ილია კეჭაყმაძე არ არის თანამდებობის პირი, ან რაიმე ფორმით სახელმწიფოებრივ მმართველობასთან დაკავშირებით უფლებამოსილების განმახორციელებელი საჯარო მოხელე ან რომელიმე საჯარო დაწესებულებაში მომუშავე პირი, ან თუნდაც პოლიტიკური ფიგურა და მისი აზრი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

41. ამასთან სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და გურიის მოამბის სტატიები, ასევე არ იმსჯელა იმაზე, ქონდა თუ არა პოლიტიკური სარჩული გურიის მოამბის გასაჩივრებულ სტატიას.

42. აპელანტი მიიჩნევს, რომ სასამართლომ სხვადასხვა სტატიებიდან ამონარიდები დადგენილფაქტობრივ გარემოებებად მიიჩნია. მოსარჩელის მოთხოვნას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს;

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

43. სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა წარმომადგენლების განმარტებები, მისცა შეფასება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს და თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია, კერძოდ სასამართლოს მიაჩნია, რომ გაზეთ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით: "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **"კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის**

დავალებით მიუსია; "ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება. შესაბამისად უნდა დაევალოს გაზეთ გურიის მოამბეს გაზეთში და თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე შემდეგი ფორმით: "გაზეთ გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის №40 (741) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება. ცნობა გამოქვეყნებული უნდა იქნას გამოყოფილი შრიფტით, გაზეთის მეორე გვერდზე; რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმას, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი.

44. ამგვარ გადაწყვეტილებამდე პალატა შემდეგ გარემოებათა გამო მივიდა:

45. დადგენილია, რომ 2017 წლის 16 ოქტომბრის გურიის მოამბის მიერ მისსავე ოფიციალურ ვებ გვერდსა და გაზეთში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე ?"

46. სტატიაში საუბარია ილია კეჭაყმაძის საქმიანობაზე, მათ შორის გავრცელებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია". . . „ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში ილია კეჭაყმაძე მონაწილეობს". (იხ. საქმეში წარმოდგენილი გაზეთი გურიის მოამბე მე-2 გვ.).

47. უდავოდ დადგენილია, რომ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების შემდგომ 2017 წლის 22 ნოემბერს ილია კეჭაყმაძის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს კახაბერ მურადაშვილს და ითხოვა გუჯაბიძის, კვაჭანტირაძის, ფოცხიშვილისა და ტარიელაძის მკვლელობებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა თუ არა გამოძიება. დადგენილი იყო თუ არა ბრალეული პირის

ვინაობა და რაიმე ფორმით ამ ან სხვა რომელიმე მკვლელობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა თუ არა **ილია კეჭაყმაძის კავშირი,** როგორც თანამონაწილის, დანაშაულის ორგანიზატორის ან ამსრულებლის სახით. რომელიმე საქმეზე დაკითხული იყო თუ არა ილია კეჭაყმაძე მოწმის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის სტატუსით.

48. უდავოდ დადგენილია, რომ 2017 წლის 29 ნოემბრის შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე პოლიციის პოლკოვნიკის სერგი ბზიშვილის 2871349 წერილით ილია კეჭაყმაძის წარმომადგენელს ეცნობა, რომ შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება გ. გუჯაბიძის, ი.კვაჭანტირაძის, გ. ფოცხიშვილისა და ი. ტარიელაძის მკვლელობებთან დაკავშირებით. ი. კეჭაყმაძე მკვლელობებთან დაკავშირებით არ დაკითხულა, ვინაიდან მისი დაკითხვის აუცილებლობის საკითხი არ დამდგარა.

49. სააპელაციო პალატა ეთანხმება აპელანტს, რომ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით *["რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; "ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს]* : გავრცელდა არა მოსაზრებები ილია კეჭაყმაძის სამიანობასთან დაკავშირებით, არამედ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები, რადგან სტატიის ავტორი დადასტურებულად მიუთითებს ილია კეჭაყმაძეს შეკვეთილ მკვლებებსა და კრიმინალურ გარჩევებში მონაწილეობაზე.

50. სადავო პუბლიკაციაში (სახელდობრ, კი პუბლიკაციის შემდეგ წინადადებებში: „კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია" და „ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში ილია კეჭაყმაძე მონაწილეობს" დადასტურებულადაა მითითებული ფაქტებზე, რომლებიც სტატიის ავტორის აზრით მართლაც მოხდა.

51. სადავო პუბლიკაციიდან (სახელდობრ პუბლიკაციის შემდეგი წინადადებიდან: კრიმინალები მჟავანაძეს პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია" და რომ „ ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში ილია კეჭაყმაძე მონაწილეობს") ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ჟურნალისტი - სტატიის

ავტორი თავის შეფასებას, ან შეფასებით მსჯელობას კი არ ავითარებს აპელანტის პიროვნების მიმართ, არამედ აღწერს და მიუთითებს დადასტურებულ ფაქტებზე, (მაგ.: იმაზე, რომ ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში ილია კეჭაყმაძე მონაწილეობს).

52. პალატის მოსაზრებით, სტატიაში, სახელდობრ ზემოაღნიშნულ წინადადებებში აღწერილი გარემოებები მტკიცებითი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი, როგორც უარყოფა, ასევე დადასტურებაც სავსებით შესაძლებელია. ამდენად ცხადია, რომ სადავო პუბლიკაციით (სახელდობრ კი პუბლიკაციაში გადმოცემული გამონათქვამებით „კრიმინალები მჟავანაძეს ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსიეს; „ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში ილია კეჭაყმაძე მონაწილეობს") პუბლიკაციის ავტორს თავისი ე.წ. „მოსაზრებები" კი არ გაუვრცელებია, არამედ მტკიცებით ფორმაში გადმოსცა ფაქტები.

53. პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ პუბლიკაციით გადმოცემული ფაქტები ნამდვილი არ არის, რაც დასტურდება შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის # 2871349 წერილით, საიდანაც დგინდება, რომ გურიაში პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება მუქარიძის, კვაჭანტირაძის, ფეიქრიშვილის, ტარიელაძის მკვლელობებთან დაკავშირებით. ი.კეჭაყმაძე ამ მკვლელობებთან დაკავშირებით არ დაკითხულა, ვინაიდან მისი დაკითხვის აუცილებლობის საკითხი არ დამდგარა".

54. ზემოაღნიშნული მტკიცებულებით **დაუდასტურებელია** პუბლიკაციაში მითითებული ფაქტი ოზურგეთში გახმაურებულ მკვლელობებში და კრიმინალურ გარჩევებში ილია კეჭაყმაძის მონაწილეობის შესახებ.

55. პალატა მიუთითებს, რომ შეკვეთილ მკვლელობაში და კრიმინალურ გარჩევებში მონაწილეობა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას, რისი დამადასტურებელი მტკიცებულების (განაჩენის) არარსებობაც საწინააღმდეგოს დადასტურებამდე, ქმნის პრეზუმფციას იმისა, რომ ილია კეჭაყმაძის მიერ დანაშაული არ ჩადენილა. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ გამოქვეყნებულ სტატიაში ასახული ფაქტები ილია კეჭაყმაძის წინააღმდეგ მასზედ, რომ გურიაში შეკვეთილი მკვლელობების უკან დგას ილია კეჭაყმაძე, და რომ ის მონაწილეობს კრიმინალურ გარჩევებში - სიმართლეს არ შეესაბამება. პალატა აქვე განმარტავს და კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აღნიშნულ სტატიაში ასახული ინფორმაცია **ფაქტების**

შემცველია და იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ავტორის მოსაზრებად, ამასთან სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ აპელანტზე გაავრცელა არანამდვილი და რეალური, არამედ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და მოსარჩელის სახელის გამტეხი განცხადება.

56. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა ადგენს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული სტატიით გავრცელებული ინფორმაციები შეიცავენ ფაქტებს და ისინი არ წარმოადგენენ ავტორისეულ მოსაზრებას ან შეფასებას.

57. ამასთან პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ გამოყენებული გამონათქვამები "კრიმინალურ გარჩევებში კეჭაყმაძე მონაწილეობს", "ყველა ამ შეკვეთილი მკვლელობის უკან დგას კეჭაყმაძე" - უნდა შეფასდეს, როგორც ცილისწამება.

58. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული პუბლიკაციით, რომლითაც ის ილია კეჭაყმაძის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებზე მიუთითებდა, ამასთან ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, ზიანი მიადგა ადრესატის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

59. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-13, მე-14, მე15 მუხლების საფუძველზე ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1) ვინ გაავრცელა სადავო ცნობები
2) ვის შესახებ გავრცელდა
3) რა ინფორმაციას შეიცავს ისინი
4) რა შედეგი გამოიწვია ამან.

60. პირველ ყოვლისა მნიშვნელოვანია, რომ სადავო ცნობები მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელდა. ინფორმაცია გავრცელდა არა საჯარო პირის შესახებ, და გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს ცნობებს აპელანტი მხარის კრიმინალური საქმიანობის შესახებ.

61. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებმა დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების დამკვიდრების ურყევი ნება გამოხატეს.

62. უზენაეს კანონში გამოხატულ ამ ნებას მხოლოდ დეკლარაციული მნიშვნელობა არ აქვს და იგი როგორც პირდაპირი და უშუალო სამართლებრივი ძალის მქონე აქტი, ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლებას ხელისუფლების განხორციელების პროცესში.

63. საერთო სასამართლოებისათვის ეს შეზღუდვა ნორმათა განმარტების და მათი შეფარდების ე.ი. მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოქმედებს.

64. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებმა კანონის დისპოზიციური ნორმები დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების შესაბამისად და მათ საფუძველზე უნდა განმარტონ.

65. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1976 წლის 7 დეკემბერს გადაწყვეტილებაში საქმეზე ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინაარმდეგ განმარტა, რომ „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება მხოლოდ, დემოკრატიას, ე.ი. ხალხის მმართველობას არ გულისხმობს, სახელმწიფოს მოწყობის ამგვარი ფორმა დემოკრატუიულად ორგანიზებულ საზოგადოებას ნიშნავს, ე.ი. იმგვარს, რომლისთვისაც მთავარ ღირებულებას ადამიანი, მისი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ.

66. უდავოდ დადასტურებულია, რომ მოსარჩელე არ წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ „საჯარო პირს".

67. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად „საჯარო პირი" არის - „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება". პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ილია კეჭაყმაძე არ წარმოადგენს თანამდებობის პირს, საქმის განხილვის დროისათვის მას არანაირი თანამდებობა რომელიმე საჯარო დაწესებულებაში არ უკავია, სრულიად დაუდასტურებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მისი რომელიმე გადაწყვეტილებას ან აზრს მნიშვნელოვანი ან რაიმენაირი გავლენა

მოეხდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

68. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის პირველი მუხლის „ბ" პუნქტის შესაბამისად, „აზრი" განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი. კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ არსებობს შესაძლებლობა ფაქტის გადამოწმებისას იმის დადგენა, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.

69. აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ #ას-1477-1489-2011, 3 აპრილი, 2012 წელი). ცილისწამების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მათი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ #ას-179-172-2012, 1 ოქტომბერი, 2014 წელი).

70. ცილისწამების საკანონმდებლო რეგულირებას შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ცილისწამება არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა. კანონი ერთმანეთისაგან მიჯნავს კერძო და საჯარო პირის ცილისწამებას. კერძო პირის ცილისწამებისათვის პირს მხოლოდ მაშინ ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

71. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მტკიცების ტვირთი შეზღუდვის

ინიციატორს ეკისრება. თუმცა, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ კონკრეტულ შემთხვევაში, შეზღუდვის ინიციატორმა უნდა ამტკიცოს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, არ მონაწილეობდა კრიმინალურ გარჩევებში და ა.შ. ხოლო ჟურნალისტმა უნდა ადასტუროს გავრცელებული ინფორმაციის სისწორე ანდა მის მიერ მიღებული გონივრული ზომები ინფორმაციის გადამოწმების თაობაზე. მტკიცების ტვირთის აღნიშნული წესით გადანაწილების შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელემ ილია კეჭაყმაძემ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდა, რომ ის არ მონაწილეობდა შეკვეთილ მკვლელობებში და რომ არ მონაწილეობდა კრიმინალურ გარჩევაში. აღნიშნული დასკვნის ფაქტობრივი საფუძველია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, პოლიციის სამმართველოსადმი მიწერილობა, შესაბამისი პასუხის მიღება პოლიციის განყოფილებიდან, ასევე პრეზუმფცია მასზედ, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არარსებობის პირობებში, პირი უდანაშაულოდ ითვლება, მით უფრო, მაშინ, როდესაც ჟურნალისტს აღნიშნული ინფორმაციის სისწორის თაობაზე რაიმე სახის მტკიცება არ განუხორციელებია.

72. ცილისწამების კანონისმიერი რეგულაციის სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად მოსარჩელის მტკიცების საგანში შედის იმ ზიანის მტკიცებაც, რომელიც მას მცდარი ინფორმაციის გავრცელებით მიადგა. შესაბამისად, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი ინფორმაციის გავრცელება პირს შეიძლება ფაქტობრივ ანდა მორალურ ზიანს აყენებდეს. ნიშანდობლივია, რომ ფაქტობრივი ზიანი მტკიცებადი კატეგორიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მტკიცებულებათა ერთობლიობით უნდა დაადასტუროს მატერიალური ზიანის არსებობა, გავრცელებულ ინფორმაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა, ხოლო რაც შეეხება მორალურ ზიანს, ამ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი ინფორმაცია ლახავს, თუ არა, პირის პატივს, ღირსებასა, თუ საქმიან რეპუტაციას და ამით იწვევს, თუ არა მის ფსიქიკურ, თუ სულიერ ტანჯვას. მორალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით, საგულისხმოა მისი სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, „ტერმინი „მორალური ზიანი"

სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. მორალური ზიანის არსებობა ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) შეიძლება გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და, შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია.

73. არამატერიალური ზიანის მტკიცებასთან დაკავშირებით კი სასამართლო პრაქტიკა შემდეგი სახისაა: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" კანონის თანახმად, ცილისწამება მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა.

74.განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე, განმცხადებელი ილია კეჭაყმაძე მორალური ზიანისათვის თანხის დაკისრებას ითხოვს მოპასუხეებზე თუმცა დაუდასტურებელია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მითითებული, მცდარი ინფორმაციის გავრცელებამ გამოიწვია ილია კეჭაყმაძის სულიერი ტანჯვა, რომელიც სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ემსჯელა სულიერი ტკივილით გამოწვეული ზიანის ქონებრივ ანაზღაურებაზე. რის გამოც პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს, მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურებისა და მოპასუხეთათვის 10 000 ლარის დაკისრების საფუძველი.

75. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე დროს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია სასამართლოს მიერ მტკიცებულების შეფასების სტანდარტი, რაც ფორმულირებულია დასახელებული კოდექსის 105-ე მუხლში. მტკიცებულებები გამოკვლეულ უნდა იქნას სრული და ობიექტური განხილვის გონივრული განსჯის შედეგად,

რა დროსაც სასამართლოს მათი ერთობლიობაში შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად უყალიბდება შინაგანი რწმენა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის თაობაზე.

76. პალატა განმარტავს, რომ მცდარი ფაქტის გავრცელება ყოველთვის არ წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა ზომები მიიღო და რა ღონისძიებები გაატარა ჟურნალისტმა, როდესაც ფაქტს ავრცელებდა. მან თუ ჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობანი და პასუხისმგებლობა ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება. თუმცა, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები სწორედ ინფორმაციის გამავრცელებელმა უნდა წარმოადგინოს. კონკრეტულ შემთხვევაში არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება მოახდინა, ან მცდელობა ქონდა აღნიშნულთან დაკავშირებით - მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

77. ჟურნალისტების უფლება გაავრცელონ ინფორმაცია შეზღუდულია ვალდებულებით, მოამარაგონ საზოგადოება სწორი და გადამოწმებული ინფორმაციით, შესაბამისად, ჟურნალისტები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებენ, რომ ინფორმაცია ოფიციალური წყაროებიდან მიიღეს. ჟურნალისტმა გონივრულ ფარგლებში უნდა გადაამოწმოს გავრცელებული ინფორმაციის ჭეშმარიტება. თუმცა, რიგ შემთხვევებში ინფორმაციის გადამოწმება გარკვეულ დაუძლეველ სირთულეებთან არის დაკავშირებული, შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ჟურნალისტმა ზუსტად ამგვარი სირთულის არსებობა უნდა დაადასტუროს.

78. განსახილველ შემთხვევაში საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება პასუხისმგებელ სუბიექტთა მხრიდან (სტატიის ავტორი, რედაქტორი) ინფორმაციის გადამოწმების, ან გადამოწმების შეუძლებლობის ან მისი სწრაფად გავრცელების გარდაუვალობასთან დაკავშირებით.

79. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული

და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით.

80. პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში დარღვეულია ჟურნალისტის მოვალეობანი და პასუხისმგებლობა გაავრცელოს გადამოწმებული ინფორმაცია; გავრცელებული ინფორმაცია ფაქტების შემცველია, ფაქტები კი, თავის მხრივ, მცდარია და იწვევს ინფორმაციის ადრესტის, მოსარჩელე ილია კეჭაყმაძის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას.

81. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი **აზრი** ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. ამ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში **სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად.**

82. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის შესაბამისად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

83. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ გაზეთ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით: "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; "ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება. შესაბამისად, რაკიღა მოპასუხეთა ქმედებებით დარღვეული იქნა ილია კეჭაყმაძის პირადი უფლებები, მისი აღდგენის ადეკვატურ და პროპორციულ საშუალებად პალატა მიიჩნევს, მოპასუხე მხარის დავალდებულებას გაზეთში და თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების

თაობაზე შემდეგი ფორმით: "გაზეთ გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის №40 (741) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

გადაწყვიტა:

1. ილია კეჭაყმაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ილია კეჭაყმაძის სარჩელი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის უარყოფის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ილია კეჭაყმაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. დადგენილად იქნეს მიჩნეული, რომ გაზეთ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით: "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; "ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება.

5. დაევალოს გაზეთ გურიის მოამბეს გაზეთში და თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე შემდეგი ფორმით: "გაზეთ გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის №40 (741) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- გავრცელებული

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება.

6. ცნობა გამოქვეყნებული იქნას გამოყოფილი შრიფტით, გაზეთის მეორე გვერდზე;

7. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

8. გაზეთ "გურიის მოამბეს" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს 250 ლარის გადახდა; აღნიშნული თანხის გადახდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე, სახაზინო კოდი 300 183 150.

9. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

11. პირები, რომლებიც არ განეკუთვნებიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ვალდებულნი არიან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდნენ სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მიზნით.

12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილის მე-9-12

- პუნქტებით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით;

თავმჯდომარე: თამარ სვანიძე

მოსამართლეები: სიმონ ჩხაიძე

ნანა კალანდაძე

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
სალმოწერა:
07 07 2022 წ.

136

საქმე № 2/ბ-266

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

7 სექტემბერი 2018 წელი ქ.ქუთაისი

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატამ შემდგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: თამარ სვანიძე

მოსამართლეები: სიმონ ჩხაიძე

ნანა კალანდაძე

განხილვის ფორმა: ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი (აპელანტი) – ილია კეჭაყმაძე

წარმომადგენელი: ლელა ქველაძე

მოწინააღმდეგე მხარე – შპს "გურიის პრესკლუბი"; ვლადიმერ მენაბდე; ნინო ვაშალომიძე

დავის საგანი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხი.

სააპელაციო პალატამ

გამოარკვია:

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ილია კეჭაყმაძემ, მოპასუხე ბარეებად შპს "გურიის პრესკლუბი", მისი დირექტორი ვლადიმერ მენაბდე და ამავე შპს-ს 30%წილის მფლობელი ნინო ვაშალომიძე მიუთითა და ითხოვა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის ანაზღაურება;

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გაწყვეტილებით ილია კეჭაყმაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ილია კეჭაყმაძის მიერ იქნა გასაჩივრებული სააპელაციო წესით.

აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება ითხოვა. აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის სახით სააპელაციო წარმოებისავის გადაიხადა 550 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით: ილია კეჭაყმაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ილია კეჭაყმაძის სარჩელი პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის უარყოფის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ილია კეჭაყმაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გაზეთ "გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის ნომერში და ამავე გაზეთის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოქვეყნებული სტატიით: "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე" - გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; "ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და არის ცილისწამება. დაევალა გაზეთ გურიის მოამბეს გაზეთში და თავის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.guriismoambe.com გამოაქვეყნოს ცნობა სასამართლო გადაწყვეტილების თაობაზე შემდეგი ფორმით: "გაზეთ გურიის მოამბის" 2017 წლის 16 ოქტომბრის №40 (741) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში "რატომ იმატა გურიაში შეკვეთილმა მკვლელობებმა, დგას თუ არა გახმაურებული მკვლელობების უკან ილია კეჭაყმაძე"- გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "კრიმინალები მჟავანაძეს, პოლიციის უფროსმა მურადაშვილმა, ილია კეჭაყმაძის დავალებით მიუსია; ოზურგეთში ყველა კრიმინალურ გარჩევაში კეჭაყმაძე მონაწილეობს" - არ შეესაბამება სინამდვილეს და

არის ცილისწამება. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. გაზეთ "გურიის მოამბეს" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 250 ლარის გადახდა;

2018 წლის 15 აგვისტოს, ილია კეჭაყმაძის წარმომადგენელმა განცხადებით მომართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ამავე სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება ითხოვა, კერძოდ აღნიშნა, რომ უსწორობას შეიცავს გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილის მე-8 პუნქტი: გაზეთ "გურიის მოამბეს" 250 ლარის გადახდა უნდა დაეკისროს არა სახელმწიფო ბიუჯეტის, არამედ ილია კეჭაყმაძის სასარგებლოდ. გამომდინარე იქედან, რომ სააპელაციო წარმოებისათვის აპელანტის მიერ სრულად იქნა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 550 ლარის ოდენობით. განმცხადებელმა მითითებული უსწორობის გასწორება ითხოვა.

სააპელაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უსწორობა, - რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად - უნდა გასწორდეს, კერძოდ გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გაზეთ "გურიის მოამბეს" ილია კეჭაყმაძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი 250 ლარის ოდენობით";

პალატა ამგვარ გადაწყვეტილებამდე შემდეგ გარემოებათა გამო მივიდა:

დადგენილია, რომ ილია კეჭაყმაძის სააპელაციო (სასარჩელო) მოთხოვნას წარმოადგენდა: მოპასუხეებისაგან პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა და მორალური ზიანის 10 000 ლარის ანაზღაურება;

დადგენილია, რომ სააპელაციო წარმოებისათვის აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 550 ლარი (პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში 150 ლარი, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში 400 ლარი (10 000 ლარის 4%)).

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ილია კეჭაყმაძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად: იმ მხარის მიერ აღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

ამავე კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად: პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯი და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები დაკარგული ხელფასი, მტკიცებულებათა ექსპერტიზისთვის გაწეული ხარჯები ასევე მხარეთა აუცილებელი სხვა ხარჯები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად: სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტში არასწორად არის მითითებული სუბიექტი, რომლის სასარგებლოდაც გაზეთ „გურიის მოამებს" დაეკისრა საპროცესო ხარჯის გადახდა. ზემოთმითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა გამო აღნიშნული უსწორობა უნდა გასწორდეს, და გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „გაზეთ "გურიის მოამბეს" ილია კეჭაყმაძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილის გადახდა - 250 ლარის ოდენობით";

ქალაქო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლებით, 53-ე მუხლის პირველი ნაწილით

140

დაადგინა:

გასწორდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ზეთ "გურიის მოამბეს" ილია კეჭაყმაძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილის გადახდა - 250 ლარის ოდენობით";

განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით, დასაბუთებული განჩინების ასლის მხარეთათვის გადაცემიდან 12 დღის ვადაში.

თავმჯდომარე: თამარ სვანიძე

მოსამართლეები: ნანა კალანდაძე

სიმონ ჩხაიძე

ასლი დედანთან სწორია
შესულია ქანონიერ ძალაში
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა
ხელმოწერა:
04. 01. 2021 წ.